ქ. თბილისის მერია

ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გულბანის ქუჩის რეაბილიტაციის
სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის
ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის..... 3

2. ტექნიკური მოთხოვნები.....4

3. სხვა მოთხოვნები.....5

4. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.....6

5. დამატებითი ინფორმაცია.....6

6. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 7

7. დანართი N1 ხარჯთაღრიცხვა.....13

8. დანართი N2 გარანტიის ფორმა.....15

9. დანართი N3 გამოცდილება.....16

10. დანართი N4 მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ….....17

1. **ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის**

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2. ტექნიკური მოთხოვნები

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები და რაოდენობა:

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ	რაოდენობა
1	2	3	4
1	დაზიანებული ა/ბეტონის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	22,10
2	დაზიანებული ა/ბეტონის საფარის მოხსნა მექანიზმებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	419,50
3	არაკლდოვანი გრუნტის (ან ნაშალი მასალის) დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	1 826,90
4	არაკლდოვანი გრუნტის დამუშავება ხელით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	96,20
5	დაზიანებული ბორდიურების დემონტაჟი და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	6,88
6	ბორდიურების ბეტონის საფუძვლის დაშლა პნევმატური ჩაქუჩებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	5,00
7	ბეტონის ახალი (არანაკლებ B-22,5) ბორდიურების (15X30) მოწყობა ბეტონის საფუძველზე (არანაკლებ B-10)	გ.მ	423,00
8	საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშახრეშოვანი ნარევით	მ^3	1 385,20
9	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით	მ^3	992,40
10	თხევადი ბიტუმის ან ბიტუმის ემულსიის მოსხმა	ლ	6 766,48
11	ნაწიბურების დამუშავება ხერხით	გ.მ	45,20
12	თხევადი ბიტუმის მოსხმა ნაწიბურებზე	ლ	15,80
13	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 6 სმ	მ^2	6 308,00
14	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 4 სმ.	მ^2	6 308,00
15	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 5 სმ.	მ^2	204,40
16	სამშენებლო ნაგვის და/ან გრუნტის გატანა ნაგავსაყრელზე 15 კმ-მდე	მ^3	2 605,22

შენიშვნა:

შესასრულებელ სამუშაოებზე დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეფექტურ აქტში;

საპროექტო დოკუმენტაცია დეფექტური აქტის ჩათვლით ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციასტან ერთად;

მიმწოდებელმა ობიექტზე უნდა განათავსოს მინიმუმ 3 ცალი საინფორმაციო დაფა (100 სმ / 80 სმ) შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად;

ხარჯთაღრიცხვის ექსელის ფორმატის ფაილი ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

2.2 მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

2.2.1. პრეტენდენტს საკუთრებაში და/ან იჯარით უნდა გააჩნდეს შემდეგი მინიმალური მატერიალურ–ტექნიკური ბაზა:

	მანქანა–მექანიზმების დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა
1	გლუვდოლიანი ვიბრო სატკეპნი	ც	3
2	პნევმატური (რეზინის თვლიანი) სატკეპნი	ც	1
3	კომბინირებული ვიბრო სატკეპნი	ც	1
4	გრეიდერი	ც	1
5	ასფალტოდამგები	ც	1
6	ლაფეტი	ც	1
7	მცირე ზომის დამტვირთველი მექანიზმი	ც	1
8	ავტოთვითმცლელი	ც	4
9	ავტოგუდრონატორი	ც	1
10	ექსკავატორი	ც	1
11	კომპრესორი პნევმოჩაქუჩებით	ც	1
12	ვიბრო ფილა	ც	1
13	მხტუნავი სატკეპნი	ც	1
14	ასფალტის საჭრელი ხერხი	ც	1

2.2.2 პრეტენდენტს სამშენებლო სამუშაოების ადგილზე უნდა გააჩნდეს შემდეგი მინიმალური მატერიალურ–ტექნიკური ბაზა:

1	საგზაო ნიშნების და შემოსაზღუდი საშუალებების სრული კომპლექტი ობიექტის სრულყოფილად მოწყობაზე გათვლილი	ც	3

იჯარის შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულების დასრულების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადას;

2.3 გამოცდილება.

პრეტენდენტს 2013 წლის 01 იანვრიდან უნდა გააჩნდეს მინიმუმ **430 000** ლარის გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესრულების გამოცდილება (წარმოდგენილ იქნას დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ხელშეკრულებ(ები)ა, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი) (დანართი N3).

3. სხვა მოთხოვნები

3.1 მიწოდების ვადა და ადგილი:

3.1.1 სამუშაოების მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გფორმებიდან 40 (ორმოცი) დღე.

3.1.2 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, გულბანის ქუჩა;

3.2 სატენდერო წინადადების ფასი:

3.2.1 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2. 2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

3.3 ანგარიშსწორების პირობები:

3.3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3.3. 2 ანგარიშსწორება მოხდება 2014 წლის თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.3.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

4. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

4.1 ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%–ის ოდენობით, დანართი N2–ის მიხედვით (იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ პრეტენდენტს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 2%-დან 10%-მდე ოდენობით).

4.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას.

5. დამატებითი ინფორმაცია:

5.1პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

5.2 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მე–15 სართული. საკონტაქტო პირი: ზვიად გეგიძე, ტელ: +99532 378 665.

6. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

6.1 ხარჯთაღრიცხვა დანართი N1–ის მიხედვით (ხარჯთაღრიცხვის ექსელის ფორმატის ფაილი ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად);

6.2 ინფორმაცია გამოცდილების შესახებ დანართი N3–ის შესაბამისად;

6.3 ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ დანართი N4–ის შესაბამისად;

7.ხელშეკრულება *პროექტი*
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი თარიღი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ---- სახით და მეორეს მხრივ ----- ("შემდგომში მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ---- სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2.ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
2.1"დღე", "კვირა", "თვე" - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
2.2 დანართი – ნებისმიერი დამატებითი მასალა (წერილობით შედგენილი), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას. დანართი, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

3.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გულბანის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები;
3.2შესყიდვის საშუალება – ელექტრონული ტენდერი;
3.3ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი ------;
3.4ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით;
3.5კლასიფიკატორის კოდი - **45233142;**
3.6 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და ძალაშია ---------- ჩათვლით.

4.სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოების მიწოდების ვადა – ხელშეკრულების გფორმებიდან 40 (ორმოცი) დღე.
4.2 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი გულბანის ქუჩა.
4.3 მიმწოდებელმა ობიექტზე უნდა განათავსოს მინიმუმ 3 ცალი საინფორმაციო დაფა (100 სმ / 80 სმ) შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად.

5. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

5.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
5.2 ანგარიშსწორება მოხდება 2014 წლის თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
5.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

6.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები.
6.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
7.2 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს აღმოჩენილი შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.
7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 პუნქტში მითითებული პირები.
7.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
7.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.
7.6 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

8.ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.
8.2 საბანკო გარანტიის (ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის) მოქმედების ვადა ხელშეკრულებით დადგენილ მთლიანი სამუშაოების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 30 დღით.
8.3 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
8.4 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

9.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს;

9.2სამუშაოების დასრულების შემდეგ **1 (ერთი)** წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

10. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

10.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.
10.2 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

11. ფორს-მაჟორი

11.1ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
11.2ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
12.3 შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

12.4 წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ორჯერ დარღვევის ან შესრულების ვადის 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2 %-ის ოდენობით.
12.5 სამუშაოების შესრულებისას მიმწოდებლის მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე ჯარიმა 200 ლარის ოდენობით;
12.6საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.7 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს მხარისათვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან 1 თვის ვადაში.
12.8 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
13.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
13.4ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.5ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
13.6 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ) მიმწოდებლის მიერ შესრულების ვადის 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
გ)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
13.7ამ მუხლის მე-13.6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
14.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
14.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და

დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15. უფლებების გადაცემა;

15.1მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
15.2 მხარეებს არა აქვთ უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
15.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).
15.4 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16. ფასები

16.1მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.
16.2მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.
16.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
16.4საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
16.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

17. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

17.1თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანით, მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

18. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

18.1ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით,

რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
18.2შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.
19.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს
19.3ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს
19.4ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
19.5ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

20. ხელშეკრულების ენა

20.1ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, ერთი ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას მიენიჭება უპირატესობა.

21. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

დანართი N1

ხარჯთაღრიცხვა

პრეტენდენტის დასახელება ——————————

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ	რაოდენობა	ერთ. ფასი	მთლიანი ღირებულება
1	2	3	4	5	6
1	დაზიანებული ა/ბეტონის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	$მ^3$	22,10		
2	დაზიანებული ა/ბეტონის საფარის მოხსნა მექანიზმებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	$მ^3$	419,50		
3	არაკლდოვანი გრუნტის (ან ნაშალი მასალის) დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	$მ^3$	1 826,90		
4	არაკლდოვანი გრუნტის დამუშავება ხელით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	$მ^3$	96,20		
5	დაზიანებული ბორდიურების დემონტაჟი და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	$მ^3$	6,88		
6	ბორდიურების ბეტონის საფუძვლის დაშლა პნევმატური ჩაქუჩებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	$მ^3$	5,00		
7	ბეტონის ახალი (არანაკლებ B-22,5) ბორდიურების (15X30) მოწყობა ბეტონის საფუძველზე (არანაკლებ B-10)	გ.მ	423,00		
8	საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშახრეშოვანი ნარევით	$მ^3$	1 385,20		
9	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით	$მ^3$	992,40		
10	თხევადი ბიტუმის ან ბიტუმის ემულსიის მოსხმა	ლ	6 766,48		
11	ნაწიბურების დამუშავება ხერხით	გ.მ	45,20		

12	თხევადი ბიტუმის მოსხმა ნაწიბურებზე	ლ	15,80		
13	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 6 სმ	$მ^2$	6 308,00		
14	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 4 სმ.	$მ^2$	6 308,00		
15	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 5 სმ.	$მ^2$	204,40		
16	სამშენებლო ნაგვის და/ან გრუნტის გატანა ნაგავსაყრელზე 15 კმ-მდე	$მ^3$	2 605,22		
	ჯამი				
	ზედნადები ხარჯები -	%			
	ჯამი				
	გეგმიური დაგროვება -	%			
	ჯამი				
	გაუთვალისწინებელი ხარჯები -	3%			
	ჯამი				
	დღგ -	18%			
	სულ				

შენიშვნა:

ხარჯთაღრიცხვის ექსელის ფორმატის ფაილი ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

ხარჯთაღრიცხვის შედგენისას იხელმძღვანელეთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების (ტექნიკური რეგლამენტის-"სამშენებლო სამუშაოების სახლემწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის" დამტკიცების შესახებ) შესაბამისად.

ხელმოწერა ——————————————— ბ.ა

დანართი N2

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(საბანკო გარანტია)

ვის:_____

_____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

_____

_

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“_____ ტენდერში წარდგენილი თავისი

(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____

_

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია ——————————

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____

_____

_____

(თარიღი)

_____

(მისამართი)

მონაცემები პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება _____

#	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი
1. 2. 3. .					

შენიშვნა:

პრეტენდენტს 2013 წლის 01 იანვრიდან უნდა გააჩნდეს მინიმუმ **430000** ლარის გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რომელიც ინფორმაციის სახით მოცემული უნდა იყოს დანართი N3–ით გათვალისწინებულ ცხრილში. აღნიშნული შესაბამის დადასტურებულ დოკუმენტაციასთან (ხელშეკრულებ(ები)ა, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი) ერთად ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

ხელმოწერა _____

ბ.ა.

ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ – ტექნიკური ბაზის შესახებ

პრეტენდენტს საკუთრებაში და/ან იჯარით უნდა გააჩნდეს შემდეგი მინიმალური მატერიალურ–ტექნიკური ბაზა:

	მანქანა–მექანიზმების დასახელება	**განზ. ერთეული**	**რაოდენობა**
1	გლუვდოლიანი ვიბრო სატკეპნი	ც	3
2	პნევმატური (რეზინის თვლიანი) სატკეპნი	ც	1
3	კომბინირებული ვიბრო სატკეპნი	ც	1
4	გრეიდერი	ც	1
5	ასფალტოდამგები	ც	1
6	ლაფეტი	ც	1
7	მცირე ზომის დამტვირთველი მექანიზმი	ც	1
8	ავტოთვითმცლელი	ც	4
9	ავტოგუდრონატორი	ც	1
10	ექსკავატორი	ც	1
11	კომპრესორი პნევმოჩაქუჩებით	ც	1
12	ვიბრო ფილა	ც	1
13	მხტუნავი სატკეპნი	ც	1
14	ასფალტის საჭრელი ხერხი	ც	1

იჯარის შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულების დასრულების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადას;

დანართი N4-ში მითითებული მანქანა–მექანიზმების საკუთრების და/ან იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტი ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

ხელმოწერა ——————————— ბ.ა